19/12/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება ნიკოლოზობის დღესასწაულზე (19.12.2019)

ჩვენთან არს ღმერთი

გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს, – ნიკოლოზობას. წმინდა ნიკოლოზი გამორჩეული წმინდანია წმინდათა შორის და მას ეწოდება სწრაფად შემწე. სწრაფად შეგეწიოთ თქვენ წმინდა ნიკოლოზი, საქართველოს და მთელს მსოფლიოს, ყოველ გაჭირვებულ ადამიანს.

წმინდა ნიკოლოზი არის მფარველი საქართველოს ეკლესიისა და ჩვენი ქვეყნისა. ამიტომ წმინდა ნიკოლოზს ვუწოდეთ ჩვენ ყოველთა ქართველთა დიდი კათოლიკოს-პატრიარქი.

მე მინდა შეგახსენოთ თქვენ, რომ გაჭირვებაშია კაცობრიობა. ძალიან ხშირი შემთხევაა, როცა ჰკარგავს ადამიანი იმედს და თავს იკლავენ. ეს ხდება მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში. შევთხოვთ წმინდა ნიკოლოზს, რომ შეეწიოს ყოველ გაჭირვებულ ადამიანს. ღმერთი იყოს მფარველი ჩვენი.

ჩვენთან არს ღმერთი!

დღეს ჩვენ ვაჯილდოებთ დეკანოზ მაქსიმე ჭანტურიას მიტრის ტარების უფლებით. აქსიოს!
წმინდა ნიკოლოზმა დაგლოცოთ თქვენ და ყოველი ადამიანი, განსაკუთრებით გაჭირვებული ადამიანი.

— patriarchate.ge